

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2015 წლის სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მე-4 ლოტის მშენებლობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ.ე“ ქვეპუნქტის და 29-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მე-4 ლოტის მშენებლობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების შესწავლის მიზნით, შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი და დამტკიცდეს მისი შემადგენლობა დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულება დანართი №2-ის შესაბამისად;

მუხლი 3. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 3 (სამი) თვით.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მე-4 ლოტის მშენებლობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების შესწავლის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი

1. გელა კილაძე - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
2. ადამ ხუხუნაიშვილი - საკრებულოს წევრი; დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
3. ჯუმბერ ბლაგიძე - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
4. ბესიკ ტაბიძე - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
5. გიორგი ჩახვაძე - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
6. ევგენი ჩიჩუა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი; დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
7. ნონა მურვანიძე - საკრებულოს წევრი, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
8. ელისო ჭიჭინაძე - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლესის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.
9. კახა ურუშაძე - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.
10. კახაბერ ასკურავა - საკრებულოს წევრი, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის
საავტომობილო გზის მე-4 ლოტის მშენებლობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის
პრობლემების შესწავლის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

დროებითი სამუშაო ჯგუფი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ დებულებით, საკრებულოს რეგლამენტით და მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. სამუშაო ჯგუფის სტრუქტურა.

1. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება 10 წევრით.

2. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს და წევრებს თავის შემადგენლობიდან, სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით ირჩევს საკრებულო.

3. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მიერ, საკრებულოს კომისიებისათვის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ჯგუფში სამუშაოდ, დროებით ან ჯგუფის უფლებამოსილების ვადით შეიძლება მოწვეული იქნენ სპეციალისტები და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები ანაზღაურების გარეშე.

4. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და ამ დებულებით დადგენილ წესების დაცვას.

5. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე.

მუხლი 3. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის განხორციელების პრინციპები და წესი

1. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის განხორციელების პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა, საჯაროობა, კოლეგიურობა და კორექტურობა.

2. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. სამუშაო ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ჯგუფის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ საკრებულოს წევრები, მოწვეული პირები.

3. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ღია კენჭისყრით. დამსწრე ჯგუფის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. სამუშაო ჯგუფის სხდომა განსაკუთრებულ შემთხვევაში, ჯგუფის წევრთა სიით შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია იყოს დახურულიც.

5. სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს.

მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებები

1. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებას განეკუთვნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში E-60 ავტომანქანის საპარკინგო-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მე-4 ლოტის მშენებლობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების შესწავლა, პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება და საკითხის ირგვლივ ყველა საჭირო გარემოების დადგენა.

2. სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის შედეგებზე შესაბამისი დასკვნის მომზადება და გადაცემა საკრებულოსათვის შემდგომი სამართლებრივი რეაგირებისათვის.

მუხლი 5. სამუშაო ჯგუფის უფლება-მოვალეობებში ცვლილების და დამატების შეტანა

სამუშაო ჯგუფის უფლება-მოვალეობებში ცვლილებების და დამატების შეტანა შესაძლებელია საკრებულოს გადაწყვეტილებით.